

შპს „შირაქი +“ (ს/ნ 428521432)

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შპს შირაქი +
ფინანსური ანგარიშგებების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია	6
ანგარიშგების მომზადების საფუძვლები	6
ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები	7-12

შპს შირაქი +

ფინანსური ანგარიშგებების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)	შენიშვნა	2 024	2 023	2 022
გრძელვადიანი აქტივები		905000	935000	720500
ძირითადი საშუალებები	7	805211	885484	972965
სულ გრძელვადიანი აქტივები		1 710 211	1 820 484	1 693 465
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	6	611 230	975 123	1 090 838
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		1 266	144 535	82 406
ფული და ფულის ექვივალენტები	5	603	5 349	2 548
სულ მიმდინარე აქტივები		613 098	1 125 008	1 175 792
სულ აქტივები		2 323 310	2 945 492	2 869 257
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		538 988	711 284	54 174
სულ საკუთარი კაპიტალი		538 988	711 284	54 174
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	1 784 322	2 234 208	2 815 083
სულ ვალდებულებები		1 784 322	2 234 208	2 815 083
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2 323 310	2 945 492	2 869 257

შპს შირაქი +_ის დირექტორი :

დათო აფციაური

/ ფ. აფციაური /

შპს შირაქი +

ფინანსური ანგარიშგებების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

(ლარი)	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	10	2 164 072	2 875 279
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11	(1 414 201)	(2 167 213)
საერთო მოგება		749 871	708 066
საერთო ადმინისტრაციული დანახარჯები	12	(1 916 892)	(2 564 580)
არასაოპერაციო ხარჯები/შემოსავლები წმინდა		994 725	2 513 622
მოგება დაბეგვრამდე		(172 297)	657 109
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		(172 297)	657 110
მთლიანი სრული შემოსავალი		(172 297)	657 110
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		(172 296)	657 110
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		711 284	54 174
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		538 988	711 284

შპს შირაქი +_ის დირექტორი :
დათო აფციაური

/ დ. აფციაური /

შპს შირაქი +
 ფინანსური ანგარიშგებების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილე ბელი	სულ
31 დეკემბერი 2021	-	(286 741)	(286 741)
წლის მთლიანი სრული მოგება/ზარალი		340 916	340 916
გაცემული დივიდენდი		-	-
31 დეკემბერი 2022	-	54 175	54 175
წლის მთლიანი სრული მოგება/ზარალი		657 110	657 110
გაცემული დივიდენდი		-	-
31 დეკემბერი 2023 წელი	-	711 285	711 285
წლის მთლიანი სრული მოგება/ზარალი		(172 297)	(172 297)
გაცემული დივიდენდი		-	-
31.დეკემბერი 2024 წელი	-	538 988	538 988

შპს შირაქი +_ის დირექტორი :
 დათო აფციაური

/ დ. აფციაური /

1 კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „შირაქი +“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2018 წლის 9 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საიდენტიფიკაციო ნომრით 428521432.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს შერეული სოფლის მეურნეობა, კერძოდ, მეწველი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება, რძის წარმოება, ასევე მარცვლოვანი კულტურების მოყვანა და რეალიზაცია. იურიდიული მისამართია: საქართველო, დედოფლისწყაროს რაიონი, სოფ. არხილოსკალო. კომპანიის დამფუძნებელია ფ/პ ნიკოლოზ ბენიაიძე პ/ნ 14001001261.

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველები და ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე, რომელიც შესაბამისობაშია მსს ფასს-თან და მოიცავს შესაძარის ინფორმაციას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება.“

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, ხოლო ბიულოგიური აქტივების აღრიცხვისას - გადაფასების მოდელით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

უცხოური ვალუტის გადაანგარიშება, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებში შესული მუხლები ფასდება პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტით, რომელშიც საწარმო ოპერირებს (სამუშაო ვალუტა), კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული უცხოური სავალუტო ოპერაციები სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება ოპერაციების განხორციელებისას გავრცელებული სავალუტო კურსების მიხედვით, უცხოური სავალუტო შემოსულობები და ზარალი, რომელიც მსგავსი ოპერაციების ანგარიშსწორების და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსების გადაყვანის შედეგია, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში,

სებ-ის მიერ დადგენილი ძირითადი სავალუტო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

2024 წლის 31 დეკემბრისთვის აშშ დოლარი 1 = 2.8068 ლარს

2023 წლის 31 დეკემბრისთვის აშშ დოლარი 1 = 2.6894 ლარს

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღარიბოში, მოთხოვნილ დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები გატარებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით,

სავაჭრო მოთხოვნები, სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ღირებულებით, შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხით, სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი განისაზღვრება მაშინ, როდესაც არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანიას არ ექნება კუთვნილი თანხების ამოღების შესაძლებლობა მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

გადახდილი ავანსები, გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის შესაძლებელი, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღირიცხება წლის მოგებაში ან ზარალში.

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

წარმოების პროცესში ნედლეულიდან მზა პროდუქციაზე გადასვლის ეტაპს წარმოადგენს დაუმთავრებელი წარმოება. ყოველთვიურად, წარმოების ყველა დანახარჯი აკუმულირდება და თავს იყრის დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე. წარმოების დანახარჯების მაგალითებია: ცვეთა, იჯარა შრომის ანაზღაურება, კომუნალური ხარჯები და სხვა საწარმოო ზედნადები ხარჯები.

სოფლის მეურნეობის პროდუქცია აღირიცხება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თუ მარაგი გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის გასაყიდ ფასამდე, შემცირებული გაყიდვის ხარჯებით, გაუფასურების ზარალი მყისიერად აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, რომელიც შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებულ ნებისმიერ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებასა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით.

ბიოლოგიური აქტივები რეალური ღირებულების მოდელით და ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს ხდება

შენიშვნა	25 წელი
მანქანა-დანადგარები	5-15 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი
ოფისის აღჭურვილობა და სხვა	3-6 წელი

ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად შედეგი აისახება მოგებში ან ზარალში. ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებასა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, აქტივების ნარჩენი ღირებულებები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თუ ბოლო საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არსებობს მითითება მნიშვნელოვან ცვლილებაზე.

სავაჭრო და სხვა დავალიანება, სავაჭრო დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში და იგი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საგადასახადო ვალდებულებები, გადასახადები და ხარჯები, როგორცაა, მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის, რაც განისაზღვრება კანონმდებლობით, რომელიც განაპირობებს მოცემული გადასახადის გადახდის ვალდებულებას, თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება წინასწარი გადახდის სახით.

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული საქონლის რეალიზაციასთან/მომსახურების გაწევასთან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% დარიცხულ თანხაზე (ანუ წმინდა დივიდენდები იბეგრება 5%- იანი განაკვეთით და დარიცხული თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0,85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში, რეზიდენტ იურიდიულ პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას, ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგრადია, მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ 'გადასახადებში', და არა საოპერაციო დანახარჯებში.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ბიოლოგიური აქტივები და სასოფლო სამეურნეო პროდუქცია მათი მიღების ან ჩამოწერის მომენტში ასახულია მოგებაში ან ზარალში გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით, ხოლო წლის ბოლოს, გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული ღირებულების კორექტირება აისახება მოგებაში ან ზარალში.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში, ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას, ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადების შეფასებისას ითვალისწინებს აქტივების ამჟამინდელ ტექნიკურ მდგომარეობას, ფიზიკური ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც აქტივი ოპერირებს, ამ ნებისმიერი პირობების ან დაშვებების ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთის კორექტირებები,

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ფუნქციონირებადი საწარმო, ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიას ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა კომპანიას საქმიანობაზე ფინანსურ ბაზრებზე სიტუაციის გავლენა,

შპს შირაქი +
 ფინანსური ანგარიშგებების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

საქმიანობის შედეგების და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

5	ფულადი სახსრები	31.დეკ.24	31-დეკ-23
	ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	459	2 033
	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	144	515
	ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	-	-
	სულ ფულადი სახსრები	603	2 548

6	მარაგები	31.დეკ.24	31.დეკ.23
	ნედლეული	-	-
	მზა პროდუქცია	44 188	470 379
	სხვა მარაგები	567 042	504 744
	სულ მარაგები	611 230	975 123

7 ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	შენიშვნა- ნაგებობები	მიწა	მანქანა- დანადგარ ები	სატრანსპორ ტო საშუალებები	ავიჯი და სხვა ინვ	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი	522 126	1 000	589 833	10 000	25 951	1 148 909
შეძენა	17 862	-	-	-	-	17 862
გასვლა	-	-	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	539 987	1 000	589 833	10 000	25 951	1 166 771
შეძენა	-	-	373	-	719	1 092
გასვლა	-	-	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	539 987	1 000	590 205	10 000	26 669	1 167 862
შეძენა	6 257	-	1 314	-	-	7 571
გასვლა	-	-	-	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	546 245	1 000	591 519	10 000	26 669	1 175 433
დაგროვილი ცვეთა						
2021 წლის 31 დეკემბერი	18 512	-	94 714	-	8 043	121 269
წლის ცვეთის ხარჯი	18 512	-	52 171	1 250	3 318	75 251
გასვლა	-	-	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	37 024	-	146 886	1 250	11 361	196 520
წლის ცვეთის ხარჯი	21 600	-	60 328	1 250	4 880	88 058
გასვლა	-	-	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	58 624	-	207 214	2 500	16 241	284 578
წლის ცვეთის ხარჯი	21 600	-	60 597	1 250	3 911	87 358
გასვლა	-	-	-	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	80 223	-	267 812	3 750	20 152	371 936
ნეტო საბალანსო						
2022 წლის 31 დეკემბერი	502 963	1 000	442 947	8 750	14 590	970 250
2023 წლის 31 დეკემბერი	481 364	1 000	382 991	7 500	10 429	883 284
2024 წლის 31 დეკემბერი	466 022	1 000	323 707	6 250	6 518	803 497

შპს შირაქი +
ფინანსური ანგარიშგებების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

8 ვალდებულებები

8.1 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-24	31-დეკ-23
სავაჭრო ვალდებულებები	580 269	390 140
სახელფასო ვალდებულება	625	-
მიღებული ავანსები	26 840	1
მიღებული სესხები	1 068 976	1 823 912
სხვა ვალდებულებები	107 612	579
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1 784 322	2 214 632

8.2 სასესხო ვალდებულებები	31-დეკ-24	31-დეკ-23
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება ლარში ბანკისგან	205 502	765 946
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება ლარში დამფუძნებლისგან	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულება ლარში ბანკისგან	215 800	303 545
მიმდინარე სასესხო ვალდებულება მეკავშირე საწარმოს მიმართ	574 097	298 034
მიმდინარე სასესხო ვალდებულება ლარში დამფუძნებლისგან	73 577	456 387
გადასახდელი პროცენტები ლარში	8 290	4 270
სულ სასესხო ვალდებულებები	1 077 265	1 828 182

9 ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	2024	2023
საპროცენტო ხარჯი	(87 257)	(196 580)
საპროცენტო შემოსავალი	-	-
სულ ფინანსური ხარჯი	(87 257)	(196 580)

10 ამონაგები	2024	2023
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	2 164 072	2 875 279
მომსახურებიდან	-	-
სხვა შემოსავალი	994 725	2 513 622
სულ ამონაგები	3 158 797	5 388 901

კომპანიამ მიმდინარე საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად შეამცირა იჯარით აღებული მისი ფართობი, რაზეც ახდებს მოსავლის მიღებას, შესაბამისად მნიშვნელოვნად შემცირდა მოსავლის აღებით მიღებული

11 რეალიზაციის თვითღირებულება	2024	2023
მასალების ღირებულება	(1 414 201)	(2 167 213)
ფასდაკლების ღირებულება	-	-
რეკლამის ღირებულება	-	-
სხვა ხარჯების ღირებულება	-	-
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	(1 414 201)	(2 167 213)

12	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023
	ხელფასის ხარჯი	(91 933)	(132 056)
	ცვეთის ხარჯი	(87 844)	(88 572)
	ძირითადი საშუალებების ხარჯი	(25 568)	(22 526)
	სამეურნეო და საკანცელარიო ხარჯი	(7 824)	(33 080)
	საბანკო ხარჯი	(1 877)	(3 879)
	საკონსულტაციო ხარჯი	(7 000)	(35 000)
	კომუნალური ხარჯი	(23 075)	(27 096)
	სხვა ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(1 118 676)	(1 805 161)
	სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1 363 797)	(2 147 370)

13 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

15 შეფასება და წარდგენის ვალდებულება

კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

16 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბრით;

შპს შირაქი +_ის დირექტორი :
 დათო აფციაური

/ დ. აფციაური /

